არ აქვს მუსლიმს უფლება, რომელსაც უნდა რაიმე ანდერძის დატოვება, გაათენოს სამი ღამე ისე, რომ მან თავისი ანდერძი არ დაწეროს

აბდულლაჰ იბნ უმარი (ალლაჰი იყოს მათგან კმაყოფილი) გადმოცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «არ აქვს მუსლიმს უფლება, რომელსაც უნდა რაიმე ანდერძის დატოვება, გაათენოს სამი ღამე ისე, რომ მან თავისი ანდერძი არ დაწეროს» აბდულლაჰ იბნ უმარმა (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) თქვა: «მე ერთი ღამეც კი აღარ გამითევია მას შემდეგ, რაც ეს მოვისმინე ალლაჰის შუამავლისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ისე, რომ არ დამეწერა ჩემი ანდერძი».
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ არ არის მიზანშეწონილი იმ მუსლიმისთვის, რომელსაც უნდა რაიმე ანდერძის დატოვება, თავისი უფლებებიდან თუ ქონებიდან, თუნდაც მცერეოდენი იყოს, რომ მან გაათენოს სამ ღამეზე მეტი ისე, რომ ანდერძი არ ჰქონდეს დაწერილი. აბდულლაჰ იბნ უმარმა (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) თქვა: «იმის შემდეგ, რაც ეს მოვისმინე ალლაჰის შუამავლისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) არც ერთი ღამე არ გამიტარებია ისე, რომ მზად არ მქონოდა ანდერძი».

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/5831